შპს მილენიუმის განვითარების ექვსწლიანი (2018-2023) სტრატეგიული გეგმის შესრულების

ანგარიში

პირველი პროგრამული მიმართულების (სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია) შესაბამისი ამოცანების განხორციელების თვალსაზრისით, სკოლა მილენიუმში დასახული მიზნები სრულად შესრულდა.

კრიტიკულად გადაიხედა და საჭიროების შემთხვევაში დაკორექტირდა სკოლის სამართლებრივი დოკუმენტაცია (დებულება, შინაგანაწესი, საქმისწარმოების წესი).

კანონმდებლობის ცვლილებებიდან გამომდინარე შეიცვალა და კანონთან შესაბამისობაში მოვიდა თანამშრომლებთა გასაფორმებელი ხელშეკრულებები.

დაიხვეწა სკოლაში მოსწავლეთა მიღების წესი და, შესაბამისად, შეიცვალა მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულება.

კრიტიკულად გადაიხედა და შესაბამისი ცვლილებები განიცადა სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის დებულებამ (კათედრების, სადამრიგებლო და სხვ).

განახლდა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სამედიცინო დახმარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესები

სკოლაში დაინერგა Edupage-ის სკოლის სასწავლო პროცესების მართვისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვას და მართვას, ასევე უზრუნველყოფს მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სკოლის დირექციისა და პედაგოგიური კოლექტივის კომუნიკაციას და მათ ინფორმირებულობას.

Edupage უზრუნველყოფს აგრეთვე სკოლის ელექტრონული ჟურნალის წარმოებას.

ბაზაზე შეიქმნა სკოლის ვებგვერდი, რომელიც განახლდება სისტემატურად, განახლდა სკოლის Facebook და Instagram გვერდები, YouTube-ის არხი.

სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეულის მონაწილეობით შეიქმნა და ყოველწლიურად იხვეწებოდა და ვითარდებოდა სასკოლო-სასწავლო გეგმა.

სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიმართულებით სკოლის მთავარი შენაძენი გახლდათ სასკოლო მენეჯმენტისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემა Edupage-ის დანერგვა სკოლაში.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 06 იანვრის N41 დადგენილებასთან შესაბამისობაში მოვიდა სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული გარემო.

საანგარიშო პერიოდში მოხდა სკოლის სრული ინტერნეტიზაცია. WiFi ტექნოლოგიის მეშვეობით შეიქმნა HotSpot-ების სისტემა, რომელიც სრულად მოიცავს სკოლის შენობას.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებულ იმ ღონისძიებებს, რომლებიც სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას ისახავდა მიზნად.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი მუშაობა გავწიეთ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების შესასწავლად და დასანერგად. ეს პროცესი სკოლაში დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს და, სავარაუდოდ, სრულყოფილ სახეს ახალი სტრატეგიული გეგმის პირობებში მიაღწევს.

სკოლაში სისტემატური კონტროლია დაწესებული გაკვეთილების, შემაჯამებელი დავალებებისა და გამოცდების მიმდინარეობაზე. ასევე მუდმივად იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ტიპის სასწავლო აქტივობა, როგორიცაა პრეზენტაციები, კონკურსები, სასწავლო მიზნობრივი ექსკურსიები და სხვ.

ყოველ წელს სკოლას სტუმრობდნენ ქართული მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი მოღვაწეები, სხვადასხვა დარგის პროფესიონალები, რომლებიც მართავდნენ შემოქმედებით საღამოებს, საჯარო ლექციებს, კითხვა-პასუხის საღამოებს, გამოცდილების გაზიარებას და სხვ.

სკოლა მილენიუმში სისტემატურად ეწყობა მოსწავლეთა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე სკოლის თანამშრომელთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვები, რომელთა შემოსავალიც ხმარდება საქველმოქმედო მიზნებს. ეს სკოლაში უკვე ტრადიციაა.

არაფორმალური განათლების კუთხით სკოლაში შეიქმნა რამდენიმე კლუბი და წრე, მათ შორის კულინარიული, ჟურნალისტიკის, წერის სახელოსნო, ეკოლოგიური, დებატების და სხვ.

ჟურნალისტიკის კლუბის წევრები გამოსცემენ სასკოლო გაზეთ „ათასწლეულს“.

ჩვენი მოსწავლეები მეტ-ნაკლები წარმატებით მონაწილეობდნენ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში და სხვა კონკურსებში.

სკოლაში სისტემატურად ხდება მოსწავლეთა პროგრესის შესწავლა, სადიაგნოსტიკო შეფასებები, რეიტინგების შედგენა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების თვალსაზრისით სკოლა ახალისებს მასწავლებელთა მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგში, კონფერენციებში, სემინარებში.

სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს ახალბედა მასწავლებლებთან მუშაობა, მოქმედებს ტუტორინგის მექანიზმი მაძიებელ მასწავლებლებთან.

საანგარიშო პერიოდში ათზე მეტმა მასწავლებელმა აიმაღლა პროფესიული სტატუსი, გახდა უფროსი და წამყვანი მასწავლებელი.

საანგარიშო პერიოდში ვერ მოხერხდა სკოლის რემონტის დასრულება, რადგან საბანკო ვალდებულებების გამო სკოლას მოუწია იჯარით აღებულ ფართში გადასვლა, სადაც ამჟამადაც ფუნქციონირებს. ამჟამად თითქმის დასრულებულია სკოლის შენობის დაკანონების პროცესი. ვიმედოვნებთ, რომ მომდევნო სასწავლო წელი, შესაძლოა, უკვე საკუთარ შენობაში დავიწყოთ.

საანგარიშო პერიოდში ვერ მოხერხდა აგრეთვე ღია სპორტული მოედნის მოწყობა. ესეც ზემოთ ხსენებული გარემოებების გამო მოხდა.

პერიოდულად ვყიდულობდით და შეკეთებას ვუკეთებდით სკოლის ორგტექნიკასა და ინვენტარს, მაგრამ ძირეული ცვლილებები ამ თვალსაზრისით არ მომხდარა.

საანგარიშო პერიოდში რამდენჯერმე განვაახლეთ სკოლის თვალსაჩინოებების ბაზა და შევიძინეთ სპორტული ინვენტარი.

სკოლაში შეიქმნა უსაფრთხო გარემო. მოსწავლეები სკოლაში შემოდიან და გადიან საიდეტიფიკაციო ბარათების მეშვეობით, რის შესახებაც ინფორმაცია Edupage-ის არხით რეალურ დროში მიეწოდება რეგისტრირებულ მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

სკოლაში მოსვლისა და დატოვების პროცესს მონიტორინგს უწევს დაცვის თანამშრომელი მორიგე მასწავლებელთან ერთად.

სკოლის ფართი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით და ყველა საჭირო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმები.

განახლებულია და მოქმედებს სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის წესი

გაკვეთილებსა და დასვენებებზე მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობის უწყვეტი რეჟიმი.

სკოლა დიდ ძალისხმევას მიმართავს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩასართავად. მოქმედებს მშობელთა სათათბირო. სისტემატურად ხდება მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება მოსწავლეთა მოსწრების, დისციპლინის ზოგადად სასწავლო პროცესის შესახებ. მშობლები მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებაში, თავად არიან ინიციატორები, ასევე არიან საქველმოქმედო აქციების მონაწილეები.

მოსწავლეთა წახალისების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რამდენიმე ღონისძიება. დაწესდა და რამდენიმე წლის განმავლობაში გაიცემოდა სემესტრისა და წლის საუკეთესო მოსწავლის სტიპენდია.

სკოლას ურთიერთობა აქვს ბათუმის, ქუთაისის, გორისა და ბოლნისის სკოლებთან. გვყავს საერთაშორისო პარტნიორები, რომლებთანაც უკვე ორჯერ განხორციელდა გაცვლითი ვიზიტები, რომლებშიც მონაწილეობდნენ მოსწავლეები და მასწავლებლები.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ შპს მილენიუმის ექვსწლიანი სტრატეგიული ამოცანების უმეტესობა განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოიკვეთა ახალი გამოწვევები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებლად მიგვაჩნია სამომავლოდ, კერძოდ:

დაბრუნება საკუთარ შენობაში;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება;

მოსწავლეთა და პროფესიონალ მასწავლებელთა მოზიდვა სკოლაში;

განხორციელებული და მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებები.